ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01240462710**
თარიღი: **15/02/2024**

**ადრესატი:** გიორგი კახაძე
**პირადი ნომერი:** 01024084814
**მისამართი:** თბილისი ზ.ფანასკერტელ-ციციშვილის ქ. N 9 ბ. 78

**ბატონო გიორგი,**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი, 2024 წლის 14 თებერვლის №0124045463-16 განცხადება, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

დაკმაყოფილდეს 2024 წლის 14 თებერვლის №0124045463-16 განცხადება და შეთანხმდეს ქალაქ თბილისში, ლეჩხუმის ქუჩა N16-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.12.029.011) საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა თანდართულ ბმულზე არსებული დანართის შესაბამისად.

**შესასვლელ-გამოსასვლელი გზის მოწყობის პერიოდში სქემა სააგენტოს მიერ შეთანხმებულია, იმ პირობით, რომ გზის მოწყობის სამუშაოები იწარმოებს 2(ორი) კვირის მანძილზე, მხოლოდ ღამის საათებში, 00:00 სთ-დან 06:00 სთ-მდე, ხოლო დღის განმავლობაში მოხსნილი იქნება სქემით გათვალისწინებული ყველა შეზღუდვა და ავტომობილები შეძლებენ უსაფრთხოდ და შეუფერხებლად გადაადგილებას.**

**საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები შეთანხმებულია იმ პირობით, რომ სამშენებლო ტექნიკა იმოძრავებს მოქმედი სამართლებრივი დადგენილი წესით.**

**სააგენტოს მიერ აღნიშნული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა ითვლება შეთანხმებულად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოში აღნიშნულ სამუშაოებზე თანხმობის მისაღებად შესაბამისი განცხადების წარდგენისა და ნებართვის მიღების შემთხვევაში.**

სამუშაო ზონის მიმდებარე ტერიტორია სრულად უნდა აღიჭურვოს საგზაო ნიშნებით, შეთანხმებული სქემის შესაბამისად, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე. სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში, საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემის მიხედვით გათვალისწინებული საგზაო ნიშნები უნდა განთავსდეს მოძრავ დგარზე, რათა არ დაზიანდეს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა. ამასთან, განსათავსებელი დროებითი საგზაო ნიშნები დამზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სტანდარტების შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოებისათვის საჭირო დროებითი და არსებული საგზაო ნიშნები ეწინააღმდეგება/ხელს უშლის ერთმანეთს, საჭიროა უკვე არსებული საგზაო ნიშნები შეიფუთოს, ხოლო სამუშაოს დასრულებისთანავე დემონტაჟი უნდა გაუკეთდეს დროებით დამონტაჟებულ საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკურ საშუალებებს და ქუჩის სავალი ნაწილი (ყველა შეფუთული ნიშნის ჩათვლით) მოყვანილი იქნას პირვანდელ მდგომარეობაში.

დამატებით გაცნობებთ, რომ თუ მშენებლობის პერიოდში, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, ხორციელდება სხვა სამშენებლო სამუშაოები და დროებითი საგზაო ნიშნები, რომლებიც განთავსებულია

სხვა, ნებართვის მქონე, შემსრულებელი კომპანიის მიერ და კვეთს/ეწინააღმდეგება თქვენს მიერ დასამონტაჟებელ საგზაო ნიშნებს, დროებითი საგზაო ნიშნები დაიტანოთ საჭიროებისამებრ და აუცილებლობის შემთხვევაში, სამუშაოები განახორციელოთ უკვე განთავსებული დროებითი საგზაო ნიშნების გამოყენებით. ხოლო, სხვა შემსრულებლის მიერ, სამუშაოების დასრულებისა და ნიშნების დემონტაჟის შემთხვევაში, უზრუნველყოთ თქვენი საგზაო ნიშნების სრულად მონტაჟი, მოცემული პირობების შესაბამისად.

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის ცვლილება საჭიროებს შეთანხმებას სააგენტოსთან.

ასევე გაცნობებთ, რომ საჭიროების შემთხვევაში, სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო იტოვებს უფლებამოსილებას, მოითხოვოს სამუშაოების პერიოდში არსებული სიტუაციის საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის ალტერნატიული ვარიანტის წარმოდგენა.

გადაწყვეტილების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია ამ გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ჟ. შარტავას ქუჩა N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**დანართი: სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები იხილეთ თანდართულ ბმულზე :**

**https://cloud.tbilisi.gov.ge/index.php/s/njh1kef7BN4Wa2F**

**პატივისცემით,**

მამუკა მუმლაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო-უფროსის მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA
PATROL POLICE DEPARTMENT

16/02/2024

MIA 7 24 00479169

მოქალაქე ნიკოლოზ უგულავას
ქ. თბილისი, შალვა ღამბაშიძის ქუჩა, N 3
ასლი: შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის
ქ. თბილისის მთავარ სამმართველოს

ბატონო ნიკოლოზ,

შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში განხილულ იქნა თქვენი განცხადება, რომელშიც ითხოვთ, ქალაქ თბილისში, ლეჩხუმის ქუჩა N16-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.12.12.029.011) შესასვლელ-გამოსასვლელი გზის, სამშენებლო დამცავი ღობის მოწყობის და საგზაო-სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ნაკადების მიმართულების საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის წარმოდგენილი დროებითი და მუდმივი სქემების შეთანხმებას.

ვითვალისწინებთ რა, ს.ს.ი.პ. ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (2024 წლის 15 თებერვლის 16-01240462710) თანხმობას შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ითანხმებს (საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კუთხით) წარმოდგენილ დროებითი და მუდმივი მოძრაობის ორგანიზაციის სქემებს და არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ აღნიშნული სამუშაოები შემდეგი პირობების დაცვით:

- ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხოების მიზნით დამცავი ღობის ფარგლებში მოეწყოს ქუჩის სავალი ნაწილის მხრიდან ქვეითად მოსიარულეთა ბილიკი, ღობე გზის სავალი ნაწილის მხრიდან გადაიხუროს და ღამის საათებში განათდეს;
- შესასვლელ-გამოსასვლელი გზის მოწყობის პერიოდში სქემა სააგენტოს მიერ შეთანხმებულია, იმ პირობით, რომ გზის მოწყობის სამუშაოები იწარმოებს 2(ორი) კვირის მანძილზე, მხოლოდ ღამის საათებში, 00:00 სთ-დან 06:00 სთ-მდე, ხოლო დღის განმავლობაში მოხსნილი იქნება სქემით გათვალისწინებული ყველა შეზღუდვა და ავტომობილები შეძლებენ უსაფრთხოდ და შეუფერხებლად გადაადგილებას.
- საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები შეთანხმებულია იმ პირობით, რომ სამშენებლო ტექნიკა იმოძრავებს მოქმედი სამართლებრივი დადგენილი წესით.
- სააგენტოს მიერ აღნიშნული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა ითვლება შეთანხმებულად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოში აღნიშნულ სამუშაოებზე თანხმობის მისაღებად შესაბამისი განცხადების წარდგენისა და ნებართვის მიღების შემთხვევაში.
- საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა შეთანხმებულია იმ პირობით, რომ გზის მოწყობის სამუშაოებზე თანხმობის მისაღებად, განცხადება წარსადგენია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოში.

0190, თბილისი, ნოე რამიშვილის ქ. №38
№38, Noe Ramishvili St. 0190, Tbilisi, Georgia
ტელ./Tel.: (+995 032) 2 41 42 42
ფაქსი/Fax: (+995 032) 2 41 85 02
E-mail: patrolinfo@mia.gov.ge

- სამშენებლო ობიექტზე მისასვლელი გზა (სამუშაოების განხორციელების პროცესში) აღიჭურვოს მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებებით შეთანხმებული სქემების შესაბამისად, ხოლო მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მოძრაოის ორგანიზების ტექნიკურ საშუალებებს გაუკეთდეს დროებით დემონტაჟი ან შეიფუთოს;
- საგზაო მოძრაობის რეგულირებისთვის და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების მიზნით სამუშაოების მწარმოებლის მიერ გამოყოფილ იქნეს სპეც. ტანსაცმლით და ალმით აღჭურვილი საჭირო რაოდენობის თანამშრომელი;
- დაცული იქნას გზის სავალი ნაწილის სისაუფთავე, არ დაუშვათ სამშენებლო მასალისა და ტექნიკის გზის სავალ ნაწილზე განთავსება;
- სამუშაოების დასრულებისთანავე ფეხით მოსიარულეთა ბილიკი მოყვანილ იქნას არსებული სტანდარტის შესაბამისად, დროებითი მოძრაობის რეგულირების ტექნიკურ საშუალებებს გაუკეთდეს დემონტაჟი და გზის მიერთების ადგილები აღიჭურვოს მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებებით შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის სქემების შესაბამისად;
- სამუშაოების დაწყების შესახებ წინასწარ ეცნობოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს და შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამორიგეო ნაწილს (241–85–04; 241–85–05).

მეორე ადრესატს: გთხოვთ, უზრუნველყოთ კონტროლის დაწესება წერილში მითითებულ პირობების შესრულებაზე და მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების განთავსების მდგომარეობაზე. შეუსრულებლობის შემთხვევაში გაატარეთ ზომები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 134 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

დანართი: სქემა 1 ფაილად

პატივისცემით,


საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი
საორგანიზაციო სამმართველო
სამმართველოს უფროსი
ტეფნაძე ლაშა


# განმარტებითი ბარათი


მოგახსენებთ, რომ შპს თბილისი ორიენტალი ლეჩხუმის ქ. #16-ში (ს.კ: 01.12.12.029.011), აწარმოებს სამშენებლო სამუშაოებს. ასევე გვაქვს მიმდებარედ არსებული სკვერის (ს.კ: 01.12.12.029.044) კეთილმოწყობა/გამწვანების ვალდებულება. დამატებით წარმოგიდგენთ შესაბამის სანებართვე დოკუმენტაციას.

მშენებლობის ნებართვის ფარგლებში შეთანხმებული საგზაო სქემებით ოპერირებისას გადავაწყდით გარკვეულ პრობლემებს, რამაც შეაფერხა სამშენებლო სამუშაოები. კერძოდ - ლეჩხუმის ქუჩასა და მის მიმდებარედ არსებულ ქუჩებზე (სვანეთის ქუჩა, ხევსურეთის ქუჩა) სამშენებლო სამუშაოების წარმოების პროცესში ტექნიკის გადაადგილებისას გვექმნება სხვადასხვა სახის პრობლემა. შეფერხებებს ქმნის როგორც ქუჩებზე გაჩერებული ავტომობილები, ასევე მოსახლეობის მწვავე პროტესტი მძიმე ტექნიკის გადაადგილებასთან დაკავშირებით. იმის მიუხედავად, რომ ლეჩხუმის ქუჩის სიგანე მერყეობს 7.2მ მეტრის ფარგლებში, გზის ორივე მხარეს პარკირებული ავტომობილები გასავლელი გზის სიგანეს იმდენად ამცირებს, რომ ფაქტობრივად შეუძლებელი ხდება დიდი გაბარიტების მქონე სამშენებლო ტექნიკის გადაადგილება. ამის ამსახველი ფოტოსურათი დართული გვაქვს შესაბამის ველში. ანალოგიური პრობლემა იქმნება სვანეთის ქუჩაზეც სადაც მოხვევის რადიუსის გათვალისწინებით მეზობლების ავტომობილების გადაადგილების გარეშე რთულდება სატვირთო ავტომობილით მოხვევა.

მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, გონივრულად მიგვაჩნია მოეწყოს სამშენებლო მოედანთან მისასვლელი ალტერნატიული გზა, რომელიც გადაჭრის ზ.ხ. პრობლემებს. საგულისხმოა, რომ პროექტის ფარგლებში ისედაც მოიაზრება დადიანზე არსებული პარაპეტის გაფართოვება, რათა სახანძრო მანქანას ქონდეს ტერიტორიასთან მისადგომი გზა (იხ.თანდართული გენ-გეგმა). გთხოვთ მოგვცეთ განახლებული სქემით გადაადგილების ნებართვა.


პირობითი ნიშნები:
საშენებლო ტექნიკის მოძრაობის მიმართულება
საძვეთო ნაკადის მოძრაობის მიმართულება
ცვლითელი ციმციმა 4 ც.
საშენებლო ღობის ძოლგა
საშენებლო ღობე
დროებითი საგზაო ნიშნები:
STOP 2.4 1 - ცალი
4.1.2 1 - ცალი
5.19.1 2 - ცალი
კვეთი I-I
1m
ღობის ძოლგა
ღობე
2.0m
წითელი ხაზი
01.12.12.029.011
კვეთი II-II
ღობე
2.0m
წითელი ხაზი
01.12.12.029.011
სამშენებლო ტექნიკა არ იმოძრავებს პიკის საათებში 08:00 სთ-დან 11:00 სთ-მდე და 17:00 სთ-დან 20:00 სთ-მდე
შენიშვნა:
დროებითი სქემა შედგენილია „ოდმ 218.6.014-2014 “ და საქართველოს კანონის საგზაო მოძრაობის შესახებ -ის მოთხოვნებით
1. სამშაოთა წარმოების ზონის სიგრძე შეადგენს 10მ-ს.
2. ქვეითთა უსაფრთხო მოძრაობა უზრუნველყოფილია ძოლგიანი დროებითი ღობით. სქემაზე მითითებულია მცირეტვირთამწეობის სატვირთო ავტომობილისთვის განკუთვნილი მიმართულება.
სანეთის ქ.
ლეჩხუმის ქ.
ც. დადიანის ქ.
სამშენებლო ტექნიკისთვის განკუთვნილი დროებითი შესასვლელ-გამოსასვლელი გზა (მოწყობილი იქნება მხოლოდ მშენებლობის პერიოდში) არგშემენტაცია იხ. დანართში
ს/კ: 01.12.12.029.011
დროებით საშენებლო ღობეზე განსათავსებელი გრაფიტებიანი ბანერი
სამშაო ზონა
10m
4.3m
18m
4.0m
4.0m
0.5m
2.1m
7.2m
2.3m
ლეჩხუმის ქუჩიდან მოხდება მცირე გაბარიტების მძრნე სამშენებლო ტექნიკის გადაადგილება
ქალაქი თბილისი, ლეჩხუმის ქუჩა, N16;
ს/კ: 01.12.12.029.011
მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის მშენებლობა (IV კლასი)
საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა
(სამშენებლო ტექნიკის დროებითი შესასვლელ-გამოსასვლელი გზის მოწყობა)
საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა
მ. 1:1000


ჩრდილოეთი
სვანეთის ქ.
40
3.24
1.26
50m
8.2.1
11m
15m
1.0m
5.9m
10.5m
4.0m
0.5m
5.0m
3.25
ც. დადიანის ქ.
პირობითი ნიშნები:
მედროშე 2 ადამიანი
სატრანსპორტო ნაკადის მოძრაობის მიმართულება
საქვეითო ნაკადის მოძრაობის მიმართულება
ჯვითელი ციმციმა 2 ც.
სასიგნალე ლენტი
საქვეითო ზოლარი
მშენებლობის პერიოდში სამშენებლო ტექნიკის დროებითი შესასვლელ-გამოსასვლელი გზის კონტური
დროებითი საგზაო ნიშნები:
1.26 3 - ცალი
3.24 3 - ცალი
3.25 1 - ცალი
8.2.1 1 - ცალი
მოსაწყობი შესასვლელ-გამოსასვლელი გზის საშარიდან ხე-ნარგავი დაშორებულია 75სმ მანძილით
ს/კ: 01.12.12.029.011
მშენებლობის პერიოდში გასაშძებელი ავტოსადგომი 5 ბრძივ მეტრზე
შენიშვნა:
დროებითი სქემა შედგენილია „ოდმ 218.6.014-2014 “ და საქართველოს კანონის საგზაო მოძრაობის შესახებ -ის მოთხოვნებით
1. გამაფრთხილებელი ზონის სიგრძე შეადგენს 50მ-ს.
2. არსებული სიტუაციიდან გამომდინარე განლევნის და ბუფერული ზონები არ ეწყობა..
3. სამუშაოთა წარმოების ზონის სიგრძე შეადგენს 10.5მ-ს.
4. ქვეითთა უსაფრთხო მოძრაობას უზრუნველყოფს ორი მედროშე, მედროშეები მიუთითებენ ქვეითებს სქემაზე აღნიშნულ მათთვის განკუთვნილ მიმართულებას.
შენიშვნა:
გზის შეკეთებითი სამუშაოები განხორციელდება, 2 კვირის განმავლობაში, ღამის საათებში, 00:00 სთ-დან 06:00 სთ-მდე.
ქალაქი თბილისი, ლეჩხუმის ქუჩა, N16;
ს/კ: 01.12.12.029.011
მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის მშენებლობა (IV კლასი)
საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა
(სამშენებლო ტექნიკის გადაადგილებისთვის დროებითი შესასვლელ-გამოსასვლელი გზის მოწყობა)
საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა
მ. 1:1000


სვანეთის ქ.
ლეჩხუმის ქ.
ც. დადიანის ქ.
ოდიშელიძე
ეპიზოდური ნიშნები:
მეზობელი 2 ადამიანი
სამშენებლო ტექნიკის მოძრაობის მიმართულება
საჭიროთა ნაკადის მოძრაობის მიმართულება
ჭკვიანელი ციმციმა 4 ც.
სასიგნალე ლენტი
დროებითი საგზაო ნიშნები:
1.26 2 - ცალი
STOP 2.4 1 - ცალი
3.10 2 - ცალი
40 3.24 1 - ცალი
4.1.2 1 - ცალი
5.19.1 4 - ცალი
10მ 8.2.1 1 - ცალი
სამშენებლო ტექნიკა არ იმოძრავებს პიკის საათებში 08:00 სთ-დან 11:00 სთ-მდე და 17:00 სთ-დან 20:00 სთ-მდე
შენიშვნა:
დროებითი სქემა შედგენილია „ოდმ 218.6.014-2014 “ და საქართველოს კანონის საგზაო მოძრაობის შესახებ -ის მოთხოვნებით
1. გამაფრთხილებელი ზონის სიგრძე შეადგენს 50მ-ს.
2. არსებული სიტუაციიდან გამომდინარე განლაგების და ბუფერული ზონები არ ეწყობა.
3. სამუშაოთა წარმოების ზონის სიგრძე შეადგენს 10მ-ს.
4. ჭკვიანთა უსაფრთხო მოძრაობას უზრუნველყოფს ორი მეზობელი, რომლებიც მიუთითებენ მცირეტვირთამწყობის სატვირთო ავტომობილსა და ჭკვიანებს სქემაზე აღნიშნულ მათთვის განკუთვნილ მიმართულებას.
სამშენებლო ტექნიკისთვის განკუთვნილი დროებითი შესასვლელ-გამოსასვლელი გზა (მოწყობილი იქნება მხოლოდ მშენებლობის პერიოდში) არბუმენტაცია იხ. დანართში
ს/კ: 01.12.12.029.011
სამუშაო ზონა
10m
4.3m
18m
4.0m
0.5m
7.2m
2.3m
15m
50m
ლეჩხუმის ქუჩიდან მოხდება მცირე ბაბარიტების მძონე სამშენებლო ტექნიკის გადაადგილება
ქალაქი თბილისი, ლეჩხუმის ქუჩა, N16;
ს/კ: 01.12.12.029.011
მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის მშენებლობა (IV კლასი)
საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა
(სამშენებლო ტექნიკის დროებითი შესასვლელ-გამოსასვლელი გზის მოწყობა)
საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა
მ. 1:1000

გაცემის თარიღი

22.02.2024

განხილვის საგანი : სამუშაოების წარმოებაზე აქტის გამოცემა

დაინტერესებული პირი : ნიკოლოზი უგულავა 01017040063

წარმოების საფუძველი : განცხადება №: QN11016554

გასაჩივრების წესი : ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7)

აქტის მოქმედების ვადა : აქტი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

## სააგენტოს გადაწყვეტილება № QN11016554

1. დაკმაყოფილდეს განმცხადებლის წერილობითი თხოვნა და მიეცეს თანხმობა განახორციელოს ქ. თბილისში, ლეჩხუმის ქუჩა #16-ის მიმდებარედ, მშენებლობის პერიოდში გზის მოწყობის მიზნით საჭირო სამუშაოები, დანართში მონიშნულ სავარაუდო მონაკვეთზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ტრანსპორტის და ურბანული განვითარების სააგენტოსთან და ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შეთანხმებული დროებითი მოძრაობის ორგანიზაციის სქემების შესაბამისად, არსებული ხე-ნარგავების დაუზიანებლად.
2. ბრძანება ძალაშია მისი გაცნობიდან 12 (თორმეტი) თვის ვადით.

(ელექტრონული ფორმით გაცემული აქტის გაცნობისთვის დაინტერესებულ მხარეს განესაზღვრება ვადა - სააგენტოს მიერ აქტის გამოცემიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ოდენობით. თუ აღნიშნულ ვადაში დაინტერესებული პირი აქტს არ გაეცნობა აქტი ითვლება ძალადაკარგულად.)

საფუძველი:

“ცალკეული ხაზობრივი ნაგებობის განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-75 დადგენილება; “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურის და ვადების განსაზღვრის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-74 დადგენილება; ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის #13-42 დადგენილება

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



თბილისი შარტავას ქუჩა #7
ტელ: (+995 32) 2 72 22 22 Email: infoauction@Tbilisi.gov.ge
www.auction.tbilisi.gov.ge
www.iauction.ge